სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2020 წლის 5 ივლისის #101/01-01 ბრძანების უზრუნველყოფისთვის, თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 ივნისის #54/2020 დადგენილებით აკადემიური პერსონალის სამსახურში მისაღებად დამტკიცებული შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის

შ ე მ ა ჯ ა მ ე ბ ე ლ ი ო ქ მ ი

ქ.თბილისი 23 ივლისი, 16.00.სთ, 2020 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: პროფესორი რევაზ ჯორბენაძე (კომისიის თავმჯდომარე), პროფესორი გიორგი გოგსაძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ჩაერთო zoom-ით), ასოცირებული პროფესორი სალომე დუნდუა (კომისიის მდივანი), ასოცირებული პროფესორი ზურაბ აბაშიძე (კომისიის წევრი) და ლ.მიქელაძის სახელობის ფონდის დირექტორი არჩილ გეგეშიძე (კომისიის წევრი).

დღის წესრიგი:

1. კონკურსის შედეგების შეჯამება(გასაუბრების და კენჭისყრის შედეგების შეჯამება);
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა;

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის პირველი (დოკუმენტების შესწავლა) და მეორე - სხდომის (გასაუბრების, ლექციის და კენჭისყრის) შედეგები.

ინტერდისციპლინური მიმართულების ასოცირებული პროფესორის 2 აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობდა 1 კანდიდატი - ჯაბა ეროტაძე. კანდიდატს წესრიგში ჰქონდა საკონკურსოდ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. გასაუბრებაზე კანდიდატმა თავი კარგად წარმოაჩინა, ამომწურავად უპასუხა დასმულ კითხვებს და საინტერესოდ ჩაატარა ლექცია.

ასოცირებული პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატის ასარჩევად ჩატარდა ფარული კენჭისყრა. ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობდა კომისიის ოთხი წევრი.

კენჭისყრის შედეგები: ჯაბა ეროტაძე - მომხრე 4, მოწინააღმდეგე - 0.

დაადგინეს: ინტერდისციპლინური მიმართულების ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ფარული კენჭისყრით არჩეული იქნა ჯაბა ეროტაძე; შემაჯამებელი ოქმი გადაეცეს თსუ-ის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

პროფესორი **რევაზ ჯორბენაძე**

(კომისიის თავმჯდომარე),

პროფესორი **გიორგი გოგსაძე**

(კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)

ასოცირებული პროფესორი **სალომე დუნდუა**

(კომისიის მდივანი),

ასოცირებული პროფესორი **ზურაბ აბაშიძე**

(კომისიის წევრი),

ლ.მიქელაძის სახელობის ფონდის დირექტორი **არჩილ გეგეშიძე**

(კომისიის წევრი)